# ნიანგი

№ 13 (1407) ივლისი 1973

გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 კაპ.




ნახ. მ. აბაშიძისა

— ეს ის ტყემლის ხეა, მეგობრებო, ჩვენს სოფელს რომ თავი მოჭრა მოსკოვის ბაზარზე!

# „სუდა გრუზინსკი რედისკა!..“

გუდაუთაში შობილი,
ჩაბრძანებული ბიჭვინთას,
**ბორის ზაქროს ძე ჩლაიძე**
ბრწყინავს ერთგვარი ნიჭითა:
კურორტსაც ემსახურება,
(ცნობა აქვს ბეჭედდარტყმული!)
მოსკოვშიც ნახავთ, როდია
დედაქალაქის ნატრული.
ამა წლის 14 მაისსა,
თითქოსდა, რეკდა ცხრა ზარი,
მის ყვირილ-ღრიალს აეკლო
ლესნორიადსკის ბაზარი:
„ია სინ შოთა რუსთველი!
კეთილმან სძლია ბოროტი!
უვაჟაემი მოსკვიჩი,
სუდა, რედისკა! ბოლოკი!“
„ვაი, შენს პატრონს!“ — შევძახეთ,
სხვა სიტყვის ღირსი როდია!
შეშინებული, ლაჩარი
მოჰყვა წრიალს და ბოდიალს.
აღარ ვიზამო, — თვალთაგან
დასდინდა ცრემლის მორევი,
უფრო კი გამოიტირა
ბოლოკით სავსე ტომრები.
დადგა პირველი ივნისი
და კვლავ დაგვეცა თავზარი! —
ისევ მის ყვირილს აეკლო
პრეობრაჟენსკის ბაზარი:
„ია ტოლკო ჩტო პრილეტელ,
გდე სიჩას დროგი, ურიკა.
უვაჟაემი მოსკვიჩი,
სუდა, გრუზინსკი კლუბნიკა!“
შეგვხედა, გული გაუსკდა,
თან სიტყვა შემოგვაწია:
მწარე ბოლოკს ხომ არ ვყიდი,
ნახეთ, რა ტკბილი მარწყვია!
მოდი და ნუ გაიცინებ,
თუმცა კი რა გვეცინება?!—
ასეთი სალახანები
გვიძლევნიან ლანძღვა-გინებას!

**გაიოზ შავერზაშვილი**

კუნაპეტი სიბნელე ჩამოწვა ბაკურციხეში... თითი რომ თვალში მიგეტანა, ვერ დაინახავდი. უეცრად ღამის მყუდროება სახლის სახურავზე მიმავალი ახოვანი მამაკაცის ფეხის ხმამ დაარღვია... ნელა, სვენებ-სვენებით მიჰყვებოდა იგი კრამიტებს და მთვარეულივით ხელებს აქეთ-იქით აცეცებდა. ბუხართან ერთი წამით შეჩერდა, სული მოითქვა და მერე მუხლისჩოქვით ჩაუყვა დაღმართს.

— ერთი... ორი... სამი... აქ უნდა იყოს, მგონი!.. — გამოსცრა კბილებში, მარჯვენა ხელით წრე შემოხაზა და კმაყოფილმა ჩაიბურტყუნა:

— აქ არის, ჩემს ხელშია! — ეცა ყანყრატოში, ძალუმად თავისკენ მოქაჩა და კისერი მოუგრიხა. კმაყოფილმა ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, მოქაჩა და დაბლა ვიღაცას ჩასძახა:

— რას შვრება?

ცახცახებს.

— ოხ მაგის!.. — ამოიგმინა გაბოროტებულმა, პაპიროსი შორს გადაისროლა, ისევ ყანყრატოში ეცა და კიდევ უფრო მოღრიცა თავისკენ.

— ახლა?

— კანკალებს...

— რას ამბობს?

— არაფერს...

— კარგად ნახე, ჭიანჭამი კბილივით ნუ მომაგლეჯინებ!

— ახლავე! — დაბლა მყოფი გაუჩინარდა.

— ჰა, რა ჰქენი?

— გამოჩნდა, მაგრამ რაღაც უცნაურად ლაპარაკობს.

— როგორ თუ უცნაურად? რას ამბობს, აღარ იტყვი?

— რა ვიცი, ქაა, სალამ-ალეიქუმოო...

# ბაკურციხელი დეტექტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ისევ აზერბაიჯანელი გამოჩენილა...

ნიკამ ანტენას ხელი გაუშვა, კრამიტებს აჰყვა, კიბეებზე სწრაფად დაეშვა და ახლა ტელევიზორს ეცა.

— ბეჟანაანთ გოლა ამბობდა საბჭოში, ძაბვა რომ არ არის კარგი, იმიტომ არიან პირშერცხვენილები ჩვენი ტელევიზორებიო.

—აზერბაიჯანის გადმოცემები რომ კარგადა ჩანს? იმას რა, სხვა ძაბვა აქვს?

— რა ვიცი, ეგრე კია და...

კარგა ხანს უკირკიტა ნიკამ ახალნაყიდ ტელევიზორს, დედაკაცი მეზობლებშიაც გაგზავნა, იქ როგორა ჩანსო, მაგრამ, ნათქვამია, ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. მერე კი, უეცრად, აენთო... ეკრანი კი არა, ნიკა: მთლად დაიძაბა, ადგილზე შეხტა, ნიჩაბივით კოჟრიანი ხელი მოიქნია და ძალუმად თავში ჩააფარა საგულდაგულოდ გაკრიალებულ ტელევიზორს.

-- ამათ ჯიბრზე აზერბაიჯანულ ენას ვისწავლი და ტელევიზორს მაინც ვუყურებ.

მართალია ნიკა.

ბაკურციხეს ვინა ჩივის, მეზობელ სოფლებშიაც თვეში ერთხელ თუ გამოჩნდება ქართული ტელევიზიის გადაცემა, გულს აუჩუყებს ბაკურციხელებს და მერე კი, მოგჭამა ჭირი! დგანან შელოცვილებივით ახალთახალი ტელევიზორები და ელიან ხან ძაბვას და ხან კი სიღნაღის ტელესატრანსლაციო სადგურს.

**ვ. მამუკელაშვილი**

ნახ. ნ. მალაზონიასი



— რა მოხდა, ნუთუ, ტელეფონზე ლაპარაკის გარდა, სხვა საქმე არა გაქვთ?!

— ჩუმად, პატივცემულო დირექტორო! გენიალური ბეთჰოვენის მთვარის სონატას გადმოსცემენ!

# წერილი მეგობარს!

## (როგორ გამოიგონეს მივლინება)

ჩემო სოლომონ! როცა ამ წერილს გწერ, თბილის-ბათუმის მატარებელი რიონს უახლოვდება. შუაღამეა, ვაგონი ხუთბალიან ღელვაში მოქცეული ნავივით ტორტმანობს. ღამის სინათლე მელანქოლიურად ანათებს. ძიჭირს წერა, მაგრამ რა ვქნა, მაინც ვცოდვილობ. კუპეში, ჩემს გარდა, სამი კაცია და სამივე სხვადასხვა ხმაზე ხვრინავს (ეჰ, რას იზამ, ძილშიაც გვიყვარს ქართველებს სამხმოვანება!). ასეა ყოველ ორ კვირაში ერთხელ, როცა მივლინებაში თბილისიდან ბათუმს მივდივარ და, სამი დღის შემდეგ, უკან ვბრუნდები.

ერთ ღამეს, როცა ტრადიციულმა სამხმოვანმა ხვრინვამ არ დამაძინა (რაღა მე მხვდებიან ეს დალოცვილები!), ძილზე ხელი ჩავიქნიე, გულზე სევდა შემომაწვა და დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ ვინ ოხერმა, სად და როდის გამოიგონა მივლინება, ან ვინ იყო ის ადამიანი, რომელმაც პირველად გაბედა მივლინებაში წასვლა.

როგორც ეს მეცნიერებს სჩვევიათ, ჩემი კვლევა იმით დავიწყე, რომ სიტყვა „მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ა ს“ დავაკვირდი, დიდხანს ვიფიქრე, მერე ორ ნაწილად გავყავი და მივიღე „მ ი ვ ა ლ ნებით“, ან „ვ ი ვ ლ ი ნ ე ბ ი თ“ (დროთა ვითარებაში ზოგი ასო ხომ ამოვარდებოდა, ზოგიც ჩაემატებოდა?) ე. ი. ჩემი ნებით, სადაც მინდა, იქ დავდივარო. ამ აღმოჩენით ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

სანამ ბათუმში მშვენიერი თბილი ამინდები იდგა, ზღვის ტალღები ალერსიანად ეჩურჩულებოდნენ ნაპირებს, ხოლო პლაჟებზე ქერათმიანი ლამაზი ქალების მრავლობა იყო. ჩემი აღმოჩენის სისწორეში ეჭვი არ შემპარვია. მერე კი, როცა გაწვიმდა, აცივდა, ქალაქის პლაჟები დაცარიელდა, როცა რესტორან „ინტურისტის“ ღარიბი რეპერტუარი ზეპირად შევისწავლე, ხოლო ჩემმა მტკივანმა კუჭმა უარი თქვა „რამშტექს ინტურისტის“ ჭამაზე, მაშინ დავრწმუნდი ჩემი ვარაუდის უსაფუძვლობაში.

მერე, ჩემო სოლომონ, მოვიკრიფე ძალა, გადავქექე წიგნები, შევამოწმე ლექსიკონები და რა აღმოვაჩინე: მივლინება ჩვენი კი არა, სხვისი ნება ყოფილა.

ჩემი აზრით, არც ესაა მართალი! მაშინ ხომ, მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ი ს ნაცვლად, წ ა რ ვ ლ ი ნ ე ბ ა აჯობებდა! (ხომ კარგად ჟღერს წარვლინებული ამხანაგი?!) მაგრამ ნუ ვიდავებთ ამაზე! რაღაი ეს დავადგინე, ამაზე აღარ შევჩერებულვარ, მივლინების წარმოშობის გამოკვლევასაც შევუდექი და როცა გავარკვიე, რომ, ადამ და ევას დროიდან, ყოველთვის ცხოვრობდა ერთ ქალაქში ისეთი ხალხი, რომელიც ყელის გამოჭრამდე სჭირდებოდათ მეორე ქალაქში (ანდა პირიქით). ასე გაჩნდა მივლინება. ასე დაიწყო ხეტიალი ხალხმა ქვეყნიდან ქვეყანაში, ერთი ქალაქიდან — მეორეში, ქალაქიდან — სოფელში და სოფლიდან — ქალაქში. დროთა ვითარებაში იცვლებოდა მივლინების ხანგრძლივობა, ხარჯები, ტრანსპორტის სახეები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა თვით მივლინება, მისი აკრძალვა არავის მოსვლია აზრად!

ხომ გახსოვს „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი სამწლიან მივლინებას რომ იღებს თინათინისაგან დ მიდის ათასი ხიფათის შესახვედრად?

ჩვენს ეპოქაში — ატომის, ხმაურის, „ვოლგების“, „ჟიგულების“, „მოსკვიჩების“, მოცვეთილი ნერვებისა და სიდედრების ბატონობის ეპოქაში — მივლინებების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა (ცოტა ხანს მაინც ხომ უნდა შეაფაროს თავი კაცმა სადმე?).

ჩემო სოლომონ! ჩემი აზრით, ახლანდელი მივლინებები სამ ტიპად უნდა დაიყოს:

1. სათავისო. 2. საარვისო. 3. სახხვისო.

ს ა თ ა ვ ი ს ო ისეთი მივლინებაა, შენ რომ გჭირდება სადმე წასვლა და მივლინებას გამოიწერ. გახსოვს, სიდედრის გასვენებაში მივლინებით რომ წახვედი ფოთში? ს ა ა რ ვ ი ს ო: შენც რომ გინდა წასვლა, მაგრამ მთლად უსაქმოდ არ მიდიხარ. მაგალითად, მოსკოვში წასვლა. ს ა ს ხ ვ ი ს ო მივლინება კი მართლა ძნელია. გადაყრუებულ რაიონში მთელი კვირა უნდა გამოიკეტო, ყოველგვარი ხეირის გარეშე!

ისე, მივლინება ახლა ისე საშიში აღარ არის, როგორც წინათ იყო. მართალია, ამას წინათ ერთი რევიზორი დასჭრეს, მაგრამ. ალბათ, ნამეტანი ქნა! სხვებს, დანის ნაცვლად, მწვადებით და „სხვა ამბებით“ უმასპინძლდებიან.

სამაგიეროდ, წინათ უფრო იოლი იყო მივლინებაში წასვლა. თვითმფრინავის ბილეთი არ გჭირდებოდა და მატარებლისა. არც მათ „ბრონზე“ გიხდებოდა სირბილი (სული ამომხდა გუშინ!). იყო ან ჯორი, ან ლურჯა ცხენი. არც სასტუმროების ძებნით იკლავდნენ თავს, სადაც მყუდრო გამოქვაბულს ნახავდნენ, იქ დაიძინებდნენ. ახლა ხალხი გაფუჭდა, ჩემო სოლომონ! სუყველას სასტუმროში უნდა ნომერი. მერე სადაა ამდენი ნომერი? სცადე შოვნა, თუ ბიჭი ხარ! ადმინისტრატორთან თუ არ დაარეკინე, თუ არ გაუღიმე, არ ეხვეწე, პასპორტში ფული არ ჩაუდე, ისე, ნახევარი სასტუმრო ცარიელიც რომ იყოს. მაინც გარეთ გაგათენებინებს ღამეს. გამოკრული აქვს განცხადება: „ა დ გ ი ლ ი ა რ ა რ ი ს!“ მორჩა! წადი, შეუმოწმე, თუ გინდა!

მიუხედავად ამდენი სიძნელისა, მივლინება ისე შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, ისე გაჯდა, შესისხლხორცდა, რომ მასზე უარის თქმა აღარ შეიძლება. მივლინება სოციალურ ფაქტორად იქცა. მივლინებაზე იდგმება სპექტაკლები, იწერება კინოსცენარები, მუსიკალური კომედიები. გახსოვს, ალბათ, „ქმრები მივლინებაში“, „ცოლები მივლინებაში“, „რევიზორი მივლინებაში“. მივლინებული მამაკაცები სიყვარულის ობიექტებად იქცნენ. ამიტომ შეიქმნა პოპულარული სიმღერა —**«А я полюбила командировочного»**, რომელსაც დიდი სინაზით ასრულებს ქალთა ვოკალური ანსამბლი „ემანსიპაცია“.

ეჰ, ბევრი აზრი მიტრიალებს, ჩემო სოლომონ, მივლინებაზე, მაგრამ მეყოფა! საცაა, მატარებელი სამტრედიას მიაკითხავს. დავიძინებ ახლა, თორემ შენი მტერი არ მყოს, ხვალ ადმინისტრატორმა სასტუმროს ნომერი არ მომცეს!

კარგად იყავი!

შენი თეიმურაზ მოვლინებული

## აკაკი გელოვანი 50 წლისაა



მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

**აკაკი გელოვანს** — ცნობილ სატირიკოსსა და იუმორისტს — „ნიანგის“ ფურცლებზე გაეკაფა გზა. მისი პირველი სატირული ლექსი ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა ამ ოცი წლის წინათ. მას შემდეგ აკაკი გელოვანის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება და მკითხველთა მოწონებას იმსახურებს.

„ნიანგის“ რედაქციის კოლექტივი სულითა და გულით ულოცავს ა კ ა კ ი გ ე ლ ო ვ ა ნ ს დაბადების 50 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს!

### კეთილი გულით

მე ჩემს ხონჩაზე მიწყვია
სატირა, პროზა, ბალადა,
ლექსი, ზღაპარი, თარგმანი,
ცნობილი მთად და ბარადა!
ვისაც რა მოსწონს, აიღოს
გულითა მხიარულითა! —
მცირედიც შეიწირების,
თქმული კეთილი გულითა!

### მომხვეჭელის უკანასკნელი წელი

შვების წელი გაუთენდა
ალალსა და მართალს:
ქურდი, მკვლელი, მომხვეჭელი
საჭეს აღარ მართავს!
ბრძენი ხალხი გუდაფშუტებს
ფანტელივით ფანტავს!
შენი წელი წასულია,
მიეფარე ფარდას!

### ავტოეპიგრამა

რა ვარ მე ჩემი სამამულო
დიდების ცაზე?
რა უნდა ვზიდო ისეთი, რაც
ილიამ ზიდა?
მაგრამ არც ჩემი კრიტიკოსი
ელვარებს ძალზე,
ამით ვნუგეშობ და მივდივარ
საკუთარ გზითა!

აკაკი გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა არის, გოგიავ, ეს?! — ცოლი ღია ბარათს მაწოდებს. ბარათში წერია: „გოგიავ, შე ყურუმსაღო, ასე უნდა დამეკარგო? ეს იყო ჩვენი სიყვარული?! გკოცნი შენი ნანა“.

— საიდან, როგორ?! — ვეკითხები ცოლს.

— ჩვენს საფოსტო ყუთში ეგდო. როგორ! ვითომ არ იცი, როგორ! — ამბობს ჩემი ცოლი და მოქნეული ცოცხის ტარს ხელით ჰაერში ვიჭერ. ბარათზე მისამართს ვათვალიერებ: სწორია, ჩემია, მეორე კორპუსი. გვარი? გვარმა მიხსნა: სხვას ჰკოცნის ნანა, ჩემს შორეულ მეზობელს. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ბინის კართან უკვე რიგი დგას...

— ბიძია, ჩვენი გაზეთები თქვენს ყუთში ჩაუყრიათ, მომეცით, რა!

„ეჰ, ფოსტა, ფოსტა!“ — იტყვით თქვენ და შეიძლება ფელეტონის კითხვაც კი მიატოვოთ, რადგან ამგვარი გასაჭირი მრავალგზის თქვენ თვითონ გადაგიტანიათ. არა, მოითმინეთ, აქ სხვა ამბავია:

რამდენიმე თვის წინათ მოულოდნელად მოადგნენ ჩემს კორპუსს ალმასკომელები, ლამაზ ფილაზე მოხატული „ო თ ხ ი ა ნ ი“ მოიტანეს, კედელს კიბე მიადგეს და, „ო რ ი ს“ გასწვრივ „ო თ ხ ი“ მიაკრეს. ასე და ამგვარად, მ ე ო რ ე კორპუსი მ ე ო თ ხ ე დ გადაიქცა, მ ე ო თ ხ ე — მ ე ე ქ ვ ს ე დ, მეათე — მ ე თ ო რ მ ე ტ ე დ... მაგრამ არა! კარგა ხანი გავიდა და ო თ ხ ი ს ქვეშ გამოჩნდა წარწერა: **„ვაჟა-ფშაველას მე-7 შესახვევი“**. გიხაროდეთ ნაცნობებო და ნათესავებო: სამი ათასზე მეტმა კაცმა ახალი მისამართიც უნდა შეგატყობინოთ, ახალ გარემოებაშიც უნდა გაგარკვიოთ!

ფოსტა? ფოსტამ უკვე შეიტყო ხსენებული გასაჭირი და უხერხულობას პირნათლად იტანს სხვის მაგიერ.

ეს ამბავი ვაჟას გამზირის მესამე უბანში ხდება, თბილისში. მიზეზი კი ამ უბნის ხელახალი დანომრვა გახლავთ. აგერ უკვე თორმეტი წელიწადია, „კვარტალსა და კორპუსს“ გავიძახით, ვიცით, ვინა ვართ, სად ვცხოვრობთ! მაგრამ მოუსვენარი აზრის ამბავი მოგეხსენებათ: ყველაფერი ვითარდება, ყველაფერი წინ მიდის. აქაც ასეა საქმე. ჩემს კორპუსს, თურმე, კიდევ რა უშავს: პირველ კორპუსს კარგი ბულვარის ნაანგარიშებივით აჭრელებია ზედმიკრული ნომრები და ახლა შესახვევის პირველი ნომერიც არის. პროსპექტის 73 ნომერიც და, აგრეთვე, კვარტალის პირველი კორპუსიც. ასეთი ნუმერაცია უბნის გარშემო განლაგებულ ს ა ხ ლ ე ბ ს ხვდათ წილად. უბნის შიგნით კი კვლავ ამაყად დგანან ძველი ნომრით მოხატული კორპუსები და ხმას არ იღებენ. ხმის ამოღება რომ შეეძლოთ, აი, რას იტყოდნენ:

რისთვის იხარჯება ფული და ენერგია, ვითომ შეცდომა სწორდება?

მაგალითად, იგივე ალმასკომელები რომ მობრძანებულიყვნენ და აქ, მეშვიდე კორპუსის, მეშვიდისა და სხვა მრავალის წინ ისეთივე ლამპიონები დაედგათ, როგორიც მშენებლებმა უბნის დამკვეთისათვის ჩაბარებამდე ამ ათი-თორმეტი წლის წინ სხვა კორპუსებთან ჩაამწკრივეს, ვიტყოდით, რომ შეცდომა გამოსწორდა. კორპუსთა სახურავზე რომ პროექტით გათვალისწინებული ტელეანტენები დაედგათ, ამაზეც ვიტყოდით, რომ შეცდომა გასწორდა. აქ, ან სხვა რომელიმე ასეთ უბანში რომ საერთო სარგებლობის წყარო მოეწყოთ, მაშინაც ვიტყოდით, რომ შეცდომა გასწორდა. მარტო წყარო? საერთო სარგებლობის საპირფარეშოც რომ აეშენებინათ, ესეც კი ძეგლად დარჩებოდა დამპროექტებლის გასახსენებლად, მაგრამ ასეთ რამეზე თავს არავინ იწუხებს და მაინცდამაინც ნომრები უნდა აგვირიონ.

რაკი სიტყვა დამპროექტებელზე ჩამოვარდა, სამუშაოს შემსრულებელსაც ნუ დავივიწყებთ და ისიც გავიხსენოთ, რომ აქ მესამე უბნის გზა მეოთხე უბანს ზუსტად ვერ მიუსწორდა და გადაკეთების კვალი ახლაც ამჩნევია მესამე უბნის ცენტრალურ გზას. მეშვიდე უბნიდან მესამესაკენ ოთხმოცდაათსანტიმეტრიანი რკინის მილებით გამოყვანილი წყალი პროექტით გვიან გათვალისწინებული შენობის ქვეშ მოხვდა და მისი გზის შეცვლამ ათასობით მანეთის ზარალი გამოიწვია. კანალიზაციის კოლექტორი? ერთ ნაწილზე ესეც ხელახლა სხვა გზით გასაყვანი გახდა და ათი ათასი ახალთახალი მანეთი ჰაერში აფრიალდა...

ჰაი, დედასა, სახელმწიფო ფულო!

**გ. ივანიშვილი**



— რა მდგომარეობაშია ჩვენი „დინამო“?
— მე მგონი, სტადიონის დამთავრება აღარ დაგვჭირდება!..

## კერძო სახლის მშენებლის სიმღერა

სახლის შენება დავიწყე, ვერსად ვიშოვე „შველერი“.
ბლოკი მჭადივით მეფშვნება... კაცი არაა მშველელი!
ცალკე მეტყევე ტყავს მაძრობს, ცალკე დურგალმა გამცალა.
ვერც ერთ ბაზარში ვერ ვნახე სალი, უკვიცლო მასალა.
ყველა მპირდება: „მოვაო!“ ვუცდი, დავსუსტდი ზმორებით...
ცხადშიც, ძილშიც და სიზმარშიც მაბოდებს კავ-ბოყვ-მორები.
რა მეშველება, არ ვიცი, მე — სახლის იმედმოშლილსა!
ათი წელია, ვატყუებ ცალკე თავს, ცალკე — ცოლ-შვილსა.
გამიწყდა შიფერისა და ცემენტის შოვნის იმედი,
„სიაში თუ ხარ, ძმაოო?“ — მკითხეს, სადაც არ მივედი.
სახლები ბევრმა ააგო — კერძოც და ამხანაგურიც.
ზოგმა ბაზალტიც იხმარა, ჩემთვის კი გაწყდა აგურიც!
რა ხდება, ვერ გამიგია, — ნერვებაშლილს და ტვინაშლილს:
სხვა სასახლეში ცხოვრობდეს, მე — ცუდ საერთო ბინაში?!
რომ იყო ხვეჭა ფულების და მისი ხარჯვა ხელგაშლით,
ვნახოთ, სასახლეს დღეიდან ვინ აიშენებს ხელფასით!

**რევაზ ოსეფაიშვილი**



— მეგობარო, ეს თბილისის ახალგაზრდობის სახლი ხომ არ არის?
— ჯერ არა, ბატონო!

ჯერ ვითომ ვითაკილე, უმაღლესდამთავრებული საწყობის გამგედ როგორ წავიდე-მეთქი, მაგრამ კარგ ცხოვრებაზე მეც ხომ მქონდა უფლება? ნუთუ, დიპლომს უნდა შეეშალა ხელი? ბევრი აღარ მიყოყმანია და და მე, ღვთის მონა-მორჩილმა, ბედის ნაწყალობევი კრინტგაუღებლად მივიღე.

დღეს, მართალია, საწყობის გამგე მქვია, მაგრამ ისე, რამე რომ იყოს, ფილოლოგი ვარ. ხუთი წელი უმაღლესში მისწავლია, დიპლომი მაქვს. სტუდენტობაში ლექსებსაც ვწერდი. ახლა სადა მცალია სამაგისოდ! ის კი არა, ზოგჯერ, რომ ვუფიქრდები, ბოღმა მახრჩობს: აფსუს, რა ხუთი წელი დავკარგე! სად იყო ჭკუა?! თავიდან რომ შოვნაზე გადავსულიყავი, რაცა მაქვს, ხუთი იმდენი ქონება მექნებოდა ახლა. „სირცხვილია! ხალხი რას იტყვის! დღეს ყველა დიპლომიანია, უდიპლომო გასიებული თავი სად უნდა გამოყოო!“ — სულს მხდიდნენ სახლში. არადა, სწორედ თავგამოყოფილი დიპლომიანები უფრო მეტი მინახავს ბოლოს თავგაყოფილი.

პირველ ხანებში ტყემალზე ვიჯექი: არ ვიცოდი, ვისთვის რა საქონელი მიმეცა. ხე-



ლზე გასაყიდად მისაცემ საქონელს მაღაზიას ვთავაზობდი, მაგრამ სულ მალე ძირს ჩამოვედი და ჩემი შტატი გავიჩინე.

ხელზე ვაჭრობის ქსელში გაერთიანებული მყავს ცოლიანები და უცოლოები, საშუალო და უმაღლესდამთავრებულები... მოკლედ, ყველა ის, ვინც ფულის ანგარიში იცის. შტატი მრავალეროვანია. ბოშებს განსაკუთრებით ეხერხებათ პირდაპირ ქუჩაში, ხელდახელ ვაჭრობა. ეს, მართალია, ვაჭრობის ძველისძველი ფორმაა, მაგრამ დღესაც დიდი წარმატებით სარგებლობს.

მყავს წარმოება-დაწესებულებებში მოვაჭრენიც. ეს კეთილმომსახურების ახალი, სრულყოფილი ფორმაა. ხომ არიან ისეთებიც, რომლებიც სამსახურში მართლა დაკავებულნი არიან და მაღაზიებში ექსკურსიაზე გასასვლელად არ სცალიათ? ხოლო, ვისაც სცალია, რას ნახულობს სახარბიელოს? რომელი საწყობის გამგეა ისეთი გულუბრყვილო, გასავლიან საქონელს მაღაზიას აძლევდეს და რომელი ჭკუათმყოფელი დირექტორი გააჩერებს ასეთ საწყობის გამგეს თავის მაღაზიაში?

ზოგმა მოხალისემ საკუთარი ბინა დაუთმო მრავალრიცხოვან მომხმარებელს და, ოჯახურად მოყუჩებულ ვითარებაში, გულარხეინად და სარფიანად ვაჭრობს. ბრალი იქნებოდა, თვალი დაგვეხუჭა და არ გვეღიარებინა, რომ მხოლოდ ასეთი ვაჭრობის წყალობითაა, რომ ჩაწოლილი საქონელიც კი ბღუჯვა-გლეჯვით გადის.

მაღაზიას ჩვეულებრივ საქონელს ვაძლევ, ჩვენი არტელები და არტელების დონეზე მდგომი ზოგიერთი ადგილობრივი ფაბრიკა რომ უშვებს.

სახელმწიფოს თავისას კაპიკს კაპიკში ვაბარებ. არავის არაფერს ვპარავ, არავის არაფერს ვაკლებ. საქონელს ისეთი ხასიათი აქვს, რასაც მეტს აფასებ, მით უფრო მეტად ფასობს. და, თანაც, რატომ არ უნდა გაიყიდოს ყველაფერი ერთიათად, როცა ხელზე ვაჭრობის ქსელში ნებისმიერი საქონელი ისე გადის, როგორც დააფასებ? ჩემმა მზემ, ცოდვაა კარგი საქონლის მუქთად გაყიდვა!

ყველაფერი ეს კარგად იცის დირექტორმა, მაგრამ თავი ისე უჭირავს, ვითომც აქ არაფერი! ამაში კი მთელი ჩემი შემოსავლის ნახევარზე მეტი მიაქვს.

ერთხელ ჩემი გაფუჭება მოინდომეს: ვიღაც ჭყლინტი რევიზორები მოვიდნენ, წვრილმანში გამომიჭირეს .არ გამოუვიდათ! იმოდენა ფული დავაჯახე, იქით გავაფუჭე!..

ფული ყოფილა ყველაფერი! ამიტომაც არის, რომ შოვნაზე ვარ გადასული. ჩემოდენა ფულს თუ ვინმე აკეთებს, არა მგონია. ვინ არის ჩემთან ტაქსის შოფერი, რესტორნის ოფიციანტი, ლუდის გამყიდველი, რკინიგზის სალაროს მოლარე?..

ისე, ჩვენში დარჩეს და, ფულის გაკეთება უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე მისი მოხმარება, მაგრამ მაინც არა მგონია, ფულის ყადრი ჩემზე უკეთ ვინმემ იცოდეს. საკუთარი მანქანა კარზე მიყენია, ცოლ-შვილი ისე დამიდის, მინისტრის ცოლ-შვილს შეშურდება. ყველა ავეჯის გარნიტური მაქვს — საწოლის, სასადილოს, კაბინეტის, საბავშვო ოთახის... ოქრო-ბროლი! რომელი ჩემი კოლეგა ფილოლოგია ჩემსავით? იმათ სახლებში, წიგნების მეტს, ვერაფერს ნახავ. არა, წიგნები მეცა მაქვს — მთელი ბიბლიოთეკა. თანაც როგორი ძვირიანი! ბოლოს და ბოლოს, წიგნიც ხომ საქონელია და რაც მეტი ღირს, რამე რომ იყოს, მეტადაც გაიყიდება! მთავარია, წიგნი გქონდეს სახლში! კითხვით არც ის ჩემი კოლეგა ფილოლოგები იკლავენ თავს. ჰოდა, მათ თუ არ ცალიათ საკითხავად, მე რა, მოცლილი მნახეთ?! წიგნი ვიკითხო, რა, სტუდენტი ვარ?

ჩვენში დარჩეს და, დირექტორმა არც კი იცის, ფილოლოგის დიპლომი რომ მაქვს, თორემ რა შვილია, საწყობის გამგედ მიმიღებდა!

**მირიან ლეჟავა**




— ექიმო, გავშვმა ფული გადაყლაპა და ამოუღეთ!
— დანომრილი ხომ არ არის?

## ყურმოკრული

პაპიროსს არ ეწევა, არც თვრება მაინცდამაინც ხშირად. როცა დათვრება, არ იცის ჩხუბი და აყალმაყალი, არც ღვინის გამოყოლა იცის ურიგო, თავის შარვალსაც თვითონვე იუთოებს. ერთი სიტყვით, უკეთეს ს ა რ ძ ლ ო ს ვერ იშოვი, ჩემო ბატონო!

ბექან სვანიძე




— რა დაგინიშნა ექიმმა?
— დიეტა დამინიშნა, მაგრამ არ უთქვამს, ჭამის წინ მივიღო თუ ჭამის შემდეგ!

ჯეფრი ჩოსერი

# [illegible]

(ნაწყვეტები)

XIV საუკუნის დიდ ინგლისელ პოეტს, ჯეფრი ჩოსერს, ინგლისური პოეზიის მამამთავრად თვლიან. მისი ნაწარმოებების ყველაზე დიდ მხატვრულ ძალად, მრავალ სხვადასხვა ღირსებათა გარდა, არაჩვეულებრივი იუმორი და გამაჯანსაღებელი სიცილი ითვლება.

ქალის საკითხზე და ოჯახზე აუცილებლად
ვენდობი მხოლოდ ჩემს საკუთარ გამოცდილებას.
მისი ავ-კარგი, მისი წესი და უწესობა
თორმეტი წლისას უკვე მართლაც კარგად მესმოდა.
ხუთჯერ გავთხოვდი, ჯვარს ვიწერდი ეკლესიებში
და ერთგულების ფიცი მღვდლებს ხუთჯერ მივეცი.
რა მექნა? — ქმრები მიკვდებოდნენ. იქნებ, არ გჯერათ?
მაგრამ ხუთივე თავს მერჩივნა, იცის გამჩენმა!...

. . .

რა ბედნიაა მარტოოდენ უბიწოება,
თუ შეუღლებით ხორცი ჰყვავის, სული ცხონდება?
თუ ქალწულობა დაუწესა ქალს მეუფემან,
რად არ აკრძალა მაშინ ტრფობა და შეუღლება?
და თუკი აღარ იარსებოს მინდორმა თესვად,
ქალწულობისამ ვით იხაროს ნერგმა და ფესვმა?..

. . .

დღეს ქალწულობა ყველა ქალწულს კი არ ევების,
არამედ იმას, ვის უბიწოდ რაცხს გამგებელი.
ქალს წმინდა პავლე, რა თქმა უნდა, არ ესწრაფვოდა,
და ოდენ სულთა უმანკოთა და უზადოთა,
რომელთაც გული ციურ გზნებით აქვთ დაფერფლილი,
წილხვედრად ბრძანა მარხულობა ქალწულებრივი.
მაგრამ წმინდანმა ქალს ქალობა არ დაუძრახა
და ქალის ტახტი კვლავ ოჯახში დარჩა უძრავად...

. . .

მე, რა თქმა უნდა, იმ ქალწულის გულისთქმაც მესმის,
თავი რომ მოაქვს უბიწობის მარტივი წესით.
დე, იამაყოს მონაზონმა უმანკო ხორცით,
მე ცხოვრებას ვემნი და ვერაფრით ავყვები მოცლილთ...

. . .

რატომ არსებობს ნაწილი და ნაკვთი სხეულის,
თუ არა მიწყივ იყვავილოს სულმა სხეულმა,
თუ არა კაცის იღორძინოს მიწყივ ნაყოფმა
არყოფნის ძლევად და სიკვდილის ჩვენის დამხობად?..

. . .

ყური დამიგდეთ, ბანოვანნო, თუ რომ ქვასავით
არ გადაყრუვდით, მაშინ ჭკუას კიდევ გასწავლით!

. . .

ქმართან დავაში მეორეჯერ რომ აღარ მოცდეთ,
მოახლეები დაიყენეთ მაშინვე მოწმედ!..
აი, როგორი უნდა იყოს ქმრების გინება:
„მეც მომისმინე, ვაჟბატონო, თუ შეიძლება!
მეზობელს თავზე ყველაფერი როგორ გადასდის;
მე უბედურმა, რომ მოგჭამო ჭირი ათასიც,
მაინც ძონძებში უნდა ვიყო დღე და მოსწრება.
დღეს, ჩემზე უკეთ, ყველა იცვამს და იმოსება!..“

. . .

რაკიღა ცოლი სანთელივით ჩამოქნილი გყავს,
„შინ იჯექი!“ — დღე და ღამე ამას ჰკვირიხარ,
ჩემს დარაჯობას სამუშაო დღეებს ანდომებ,
თითქოს კაცებმა მოიცალეს ჩემთვის მარტოდენ!
ზოგს თითქოს ჩემი ხმა მოსწონდეს, ზოგს — თეძოები,
ზოგს — მხოლოდ ჩემი ხასიათი, ზოგს — ვეცოდები...
ბუზღუნა ცოლი, როგორც ხშირად წიგნში სწერია,
ცეცხლდამსუბული არის ბოლით სავსე კერია
და ქმარს ბოლოო მუდამ გარე-გარე მიდევნის,
მაგრამ მე თავს ვერ მოვიტყუებ ამგვარ მითებით.
შენ ხომ მთელი დღე დაყიალობ ყველგან ისედაც,
და, რა თქმა უნდა, გარეთ სულ სხვა ბოლი გიზიდავს...
რატომ გგონია, რომ ლამაზი ჩაცმა-დახურვა
აუცილებლად პატიოსან ქალსაც დაღუპავს?!
თანაც დასტურად რომელიღაც უცხო პოეტის
ერთი უაზრო აბდაუბდა მოგყავს ყოველთვის:
„ქალს ალამაზებს მხოლოდ კდემა და მორიდება,
სადა სამოსში სული უფრო გამოელინდება,
თავსამკაული. სამაჯური ანდა გულქანდა
მშვენებას მისას აქარწყლებს და ლაზათს უკარგავს“.
ვიღაც გიჟის და დამთხვეულის ამ აბდაუბდას
შენებრ ქვაწყვია მოიწონებს, რაღა თქმა უნდა!
ქმრებს მუდამ მაგრად ვახურებდი. ისინიც ბოლოს
თავის შეცდომებს აბრალებდნენ სიმთვრალეს მხოლოდ.
ტყვილზე და ჭორზე მოწმეებად ერთი-ორ გლახას,
დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ადვილად ნახავთ:
ან მეზობელი გამოჩნდება, ანდა ფარეში
და თუ ორივე, — მაშინ ქმრისთვის მით უარესი!..
და ჩემს ქმრებს მუდამ ჭრელ-ჭრელი და ფერად-ფერადი
რიოშითა და ტყუილებით კარგად ვბრავდი.
ვჩიშობდი, ტყუილს დაუდევრად გამბობ-თქო იქნებ
და, დამატებით, ჩოჩორივით ვისრიდი ტლინკებს,
მაგრამ, თუ ზოგჯერ ოდნავ მაინც გავმტყუნდებოდი,
ყველაფერს ვწვავდი, როგორც კუპრი ადუღებული.
როცა ის იყო, მინგრეოდა თავზე შენობა,
მაშინ ეს ჩემი ადუღება მართლაც მშველოდა.
რაკიღა ღმერთმა კაცი მეტი ნიჭით მომადლა,
იმას ევების მიტევებაც და დათმობაცა.
მას არ სურს, ვინმე სიყვარულში ჩაეზიაროს
და გადის ჩხუბში და დავაში დრო უსიამოდ.
რაკიღა ასე მარტოს უნდა დაგვისაკუთროს,
აგვიყვანოს და დაგვიამოს მაშინ საწუთროც.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძე

ნახ. მ. აბაშიძისა



— ასე რომ მიყურებთ, ჩემს ქმარს იჭერთ თუ მე?
— თქვენ, ქალბატონო! აბა, ამას რა ეტყობა გამფლანგველის?!




— სიტყვის კაცი ვარო, შენ უნდა თქვა: ო თ ხ ზ ე მოვალო და, კიდევაც მოხვედი!



— თუ ეს ქეიფები მართლა აკრძალეს, დავიღუპები, დისერტაცია ნამდვილად ჩამივარდება!

# ნიანგის ფოსტა

**ხაშურის** რაიონის სოფ. ქ ვ ი შ ხ ე თ ი დ ა ნ გვწერდნენ: განა საქართველოში არის ისეთი სოფელი, სადაც ელექტროგანათება არ არის? ჩვენს სოფელშიც იყო, მაგრამ დაზიანდა...

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომს. აღმასკომმა გვიპასუხა: **„გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს დიდმა თოვლმა ძალზე დააზიანა სოფ. ქვიშხეთში ელექტროგაყვანილობა, რის გამოც სოფელში ხშირად არ იყო ელექტროგანათება.**

**ამჟამად ელექტრომეურნეობა ძირითადად მოწესრიგებულია, გრძელდება ელექტრობოძების და ხაზების შეკეთება“.**

* * *

**თბილისის** ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს რ ა ი ო ნ ი ს ა ბ ა შ ი ს ქ უ ჩ ი ს მცხოვრებლები მოითხოვდნენ დაზიანებული ტროტუარებისა და ტრანსპორტისთვის სავალი გზის შეკეთებას.

წერილი გადაეგზავნა თბილისის ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომს, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ: **„აღნიშნული ქუჩის დაზიანებული სავალი ნაწილი და ტროტუარები შეკეთებულ იქნა რაიონის საგზაო-საექსპლოატაციო კანტორის მიერ. ბოლო პერიოდში ქუჩის სავალი ნაწილი და ტროტუარი ზოგიერთ ადგილას კვლავ დაზიანდა. კეთილმოწყობის განყოფილების მიერ შედგენილია სათანადო დეფექტური აქტი და ქუჩა შეკეთებულ იქნება საგზაო საექსპლოატაციო კანტორის მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით“.**

* * *

**ზუგდიდის** რაიონის ს ო ფ ე ლ ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს მცხოვრები გვწერდა: აღნიშნული სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეებს დაავალეს, სკოლაში მიეტანათ გარკვეული რაოდენობის არაყი მერხების საწმენდად. ამავე დროს სისტემატური ხასიათი აქვს სხვადასხვა ღონისძიებისათვის ფულის შეგროვებას.

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა საქ. სსრ განათლების სამინისტროს. სამინისტრომ ადგილზე შეამოწმა მომხდარი ფაქტის სისწორე და გვიპასუხა: **„შემოწმებით გამოირკვა, რომ მოსწავლეები იწერენ თავისი ასაკის შესაფერ ჟურნალ-გაზეთებს. სკოლაში არსებობს სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოება, რის გამოც ხდება საწევროების შეკრება. აგრეთვე ავრცელებენ კინოს ბილეთებსაც.**

**1972 წლის 2 ნოემბერს ამავე სკოლის VIII-ბ კლასის დამრიგებელმა მოსწავლეებს დაავალა მერხების გასაწმენდად სახლიდან მოეტანათ მცირე რაოდენობის არაყი. აღნიშნული დავალება არ შეასრულა ორმა მოსწავლემ, რის გამოც მასწავლებელმა ისინი დაითხოვა გაკვეთილებიდან და შინ გაგზავნა.**

**ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ მკაცრად გააფრთხილა მასწავლებელი ზემოაღნიშნული, დაუშვებელი მოქმედებისათვის“.**

* * *

**ლენინის** რაიონის (თბილისი) ბ ჟ ო ლ ე თ ი ს ქუჩის მცხოვრებნი გვწერდნენ: წარმოუდგენელია, თბილისში ცხოვრობდე და ბინაში ელექტროგანათება არ გქონდეს! ყველა ხარობს, ჩვენ კი უსინათლობამ დაგვამწუხრა.

წერილი გადაეგზავნა თელასს, საიდანაც გვიპასუხეს: **„გაცნობებთ, რომ ბჟოლეთის ქუჩის უვარგისი ბოძებისა და დაბალი ძაბვის საჰაერო ხაზის კაპიტალური სამუშაოთა ჩატარებისათვის შედგენილია ტექნიკური დავალება № 2259, რომელიც გადაგზავნილია თელასის სარემონტო-სამშენებლო კანტორაში აღნიშნული სამუშაოების დროულად შესრულებისათვის“.**

მთავარი რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ტელ. რედაქტორის 99-76-69 რედ. მოადგილის 93-49-32 საერთო განყ. 93-10-78. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 11/VI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VII-73 წ. ქაღალდის ზომა 70X108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
● შეკვ. 2067, უე 05678, ტირაჟი 136.000. ⊙ ТБИЛИСИ САТИРИКО-ЮМОРИСТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ «НИАНГИ». ⊙ ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ. ⊙ ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ, ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14.

7
1973

73-511

ეროვნული ბიბლიოთეკა

Индекс 76137

ნახ. გ. ლომიძისა



უბედურად დამთავრდა ამერიკელ მარტინ მაკლენისთვის „ბოინგ-727“ ტიპის თვითმფრინავში ჩატარებული ბანდიტური ოპერაცია: ყუმბარითა და ავტომატით შეიარაღებულმა ბანდიტმა შეშინებულ მგზავრებს გამოსასყიდად 502 ათასი დოლარი გამოართვა და ქალაქ პერუზე (ინდიანას შტატი) გადაფრენისას თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა... გადმოხტომისას რეაქტიული ძრავის ჭავლმა შარვალი ჩახადა, ავტომატი და საფულე მოგლიჯა და ასე უცნაურად გამოწყობილი, ღამით, პოლიციამ დეტროიტის გარეუბანში შეიპყრო.

ქალაქ მილანში, მონიზინოების კუთვნილ მაღაზიაში, ბანდიტებმა სალარო დააცარიელეს. როდესაც წასვლა დააპირეს, პატრონის მეუღლემ ვედრებით შეაჩერა:

— ავტობუსის ფული მაინც დაგვიტოვეთ!

— თქვენსავით ძუნწი ვაჭრუკანები კი არა ვართ! აჰა, ტაქსით წაბრძანდით! — უპასუხა ერთ-ერთმა მძარცველმა და 1000 ლირა მისცა.







დასავლეთ გერმანიაში ერთი ამერიკელი სერჟანტი ისე გააცოფა რესტორნის მიმტანი გოგონას უარმა — მისულიყო მასთან პაემანზე, რომ ნაწილიდან ტანკი მოაგრიალა და ზარბაზანი პირდაპირ კარებს დაუმიზნა... დიდი დავიდარაბის შემდეგ ძლივს მოახერხეს მისი ტანკიდან ამოთრევა და სამხედრო პოლიციისთვის გადაცემა.

... ს ს რ სახელმწიფო ... წიგნის პალატა
№ 511
შემოვ. 19 VIII 1973

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР